მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA" INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА" НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

იანვარი (შვატი) №1 (387) (5774) 2014

"מנורה" עִיתון יהודי בגורגיה

მოგილოცავთ ტუ ბიშვატს - ხეთა დღესასწაულს!

მოგილოცავთ ტუ ბიშვატს - ხეთა დღესასწაულს!

იკითხეთ გაზეთ „მენორას" ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

11 იანვარს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ისრაელში გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე არიელ შარონი

ისრაელის პრეზიდენტს ბ-ნ შიმონ პერესს

თქვენო აღმატებულებავ, ღრმად დამამწუხრა ცნობამ არიელ შარონის გარდაცვალების შესახებ. ებრაელმა ხალხმა დაკარგა თავისი უდიდესი შვილი.

არიელ შარონმა — თვალსაჩინო და მონუმენტურმა ფიგურამ, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ისრაელის სახელმწიფოს შენებაში, მისი უსაფრთხოებისა და დემოკრატიის გაძლიერებაში, რითაც სამართლიანად მოიპოვა ხალხის სიყვარული.

მწუხარების ჟამს, ჩვენ ვიზიარებთ ებრაელი ხალხის ტკივილს და

თანადგომას ვუცხადებთ მას. გთხოვთ, გადასცეთ საქართველოს მოქალაქეთა და პირადად ჩემი გულწრფელი სამძიმარი არიელ შარონის ოჯახის წევრებსა და მთლიანად ისრაელის მოსახლეობას“.

საქართველოს პრეზიდენტი
გიორგი მარგველაშვილი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის გარდაცვალების გამო. არიელ შარონი ისრაელის გამორჩეული ლიდერი იყო. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისრაელის უახლეს ისტორიაში. გულითადად ვუსამძიმრებ ჩვენს მოძმე ხალხს ამ დიდ დანაკლისს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის გარდაცვალების გამო. იგი გამორჩეული ლიდერი იყო ისრაელის ისტორიაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყნის უსაფრთხოებისა და დემოკრატიის გაძლიერებაში.

ვიზიარებ ჩვენი მოძმე ხალხის ტკივილს და თანაგრძნობას ვუცხადებ არიელ შარონის ოჯახის წევრებს, ჩემს კოლეგას მოშე იაალონს და ისრაელის მოსახლეობას.

ირაკლი ალასანია
საქართველოს თავდაცვის მინისტრი

თბილისსა და იერუსალიმში

წიგნიდან „სახეები და სიტუაციები“

ისრაელის პრემიერ-მინისტრის დელეგაციას საქართველოს ხელისუფლება აეროპორტში აცილებს. საპატიო ყარაული უკვე ჩამწკრივდა, მთავრობის წევრებიც ერთ რიგში დგანან ბინიამინ ნეთანიაჰუსა და მისი დელეგაციის წევრებს უნდა დაემშვიდობონ. მე საგარეო საქმეთა მინისტრთან არიელ შარონთან საუბარი დავამთავრე. ბატონმა მინისტრმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისრაელის მთავრობის წევრებს შორის ჩადგა. საქართველოს პრეზიდენტი სადაცაა მოუახლოვდება, რომ ხელი ჩამოართვას და დაემშვიდობოს. მე განზე გავდექი — ხელი არ შევუშალო-მეთქი. მშვიდადა ვარ — არიელ შარონთან საუბარი უკვე დიქტაფონშია. გავეცალე. ორიოდ წუთში მობრუნდა, მივხვდი, მე დამეძებდა, დამინახა, მიმიხმო და მეუბნება:

— ჩაიწერეთ, ნათქვამს უნდა დავუმატო: მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები 2600 წლის განმავლობაში საქართველოში ასე ნორმალურად ცხოვრობდნენ, მე ყოველ ებრაელს მოვუწოდებ, დაუბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოს. ერეც ისრაელში ველოდები მათ.

ეს სიტყვები ცხადად ახასიათებს არიელ შარონს. ზუსტად ხედავ, თუ ვინ არის, რა მისწრაფებების პიროვნებაა, რა ღირებულებები გაუხდია უმთავრესად ცხოვრებაში – სიონიზმი, სამშობლო, ებრაელთა უსაფრთხოება.

* * *

იერუსალიმში, ქნესეთში მის კაბინეტში ვსხედვართ. ახლა მთავრობაში აღარ არის – ოპოზიციის ლიდერია. ვსაუბრობთ ფილმზე, რომლის გადაღებასაც საქართველოში ვაპირებთ. ბლოკნოტში, ვიწერ მისი ცხოვრების ეპიზოდებს — ძალიან უშუალოა, ცხოვრების ავ-კარგში ღრმად ჩახედული, ქართველ ებრაელობას კარგად იცნობს.

რეკავს ლილი — მისი მეუღლე. უკვე ვიცი, რომ მეუღლეს უკურნებელი სენი შეყრია. ეკითხება რამდენ ხანში დაბრუნდებიო. შარონი პასუხობს არ ვიცი, შეიძლება დავიგვიანოო.

საუბარს განვაგრძნობთ. ახლა შვილის ტრაგედიაზე მესაუბრება. ძალიან მტკივნეული ამბავია. მერე — მეორე ინტიფადაზე, ტერორისტ იასირ არაფატზე, რომელიც ებრაელთა სისხლს ღვრის. დრო უცებ გარბის. ისევ რეკავს მეუღლე — ლილი. ავადმყოფი მეუღლე ელოდება. თავს უხერხულად ვგრძნობ. ვთხოვ მომავალ კვირაში ისევ შევხვდეთ, თუ გნებავთ, თქვენს რანჩოში ჩამოვალ-მეთქი. შეხვედრა დავთქვით.

– ფული? ფული თუ გაქვთ? – თითქმის გამოვდიოდი, ეს რომ მკითხა.

ჯერჯერობით ფილმის გადაღების სურვილი გვაქვს, მეტი არაფერი, მაგრამ ეს რომ ვუთხრა, ერთობ არასერიოზულ შთაბეჭდილებას დავტოვებ. თუ ჯერ სურვილის მეტი არაფერი გაქვთ, ჩემთან რად მოდიოდიო – მთელი საათია ვსაუბრობთ. ბევრი დრო დავაკარგვინე. არა, ამის თქმა არ შეიძლება!

ყოყმანი შემატყო.

— კარგით, სცენარი დაწერეთ, გამომიგზავნეთ, მე დაგაფინანსებთ.

თბილისში დავბრუნდი და მერაბ კოკოჩაშვილს ვახარე, ფილმის გადასაღები ფული უკვე გვაქვს. თავად არიელ შარონი დაგვიფინანსებს მისი თბილისური ძირებისადმი მიძღვნილ ფილმს-მეთქი.

კიდევ გადის დრო. ისრაელში გადაღების ბოლო დღეა და ახლა მის ოჯახში ვხვდებით ერთმანეთს. აქ, მისი რანჩოს პირველ სართულზე, ბევრი ნივთი, საგანი იქცევს ყურადღებას. ზოგი სიძველით, ზოგი ძვირფასი წარმომავლობით, ზოგიც ნახელავობით, მაგრამ არიელ შარონისათვის ყველაზე ძვირფასი განძი თანამებრძოლთა ფოტოებია. სწორედ ამათზე მიმითითებს. ერთ-ერთ ფოტოს დიდხანს შესცქერის და ამბობს:

— აღარცერთი ცოცხალი აღარ არის — და ბიჭების სურათს ალერსით უსვამს ხელს. აქ, თავისი რაზმის წევრებთან ერთობ უშუალოა. ეს არის ნამდვილი არიელ შარონი — ჯარისკაცული სულისკვეთების ერთგული გენერალი, რომლისთვისაც უმთავრესი თანამებრძოლთა ხსოვნაა.

მოგვიანებით, ოჯახურ ყოფას რომ იგონებს, გვიამბობს:

— კემპ-დევიდის შეთანხმების წინ ქაიროსთან დიდი მოლაპარაკება გვქონდა. მენახემ ბეგინმა ეს მისია მე დამაკისრა, ამიტომ ქაიროში ხშირად ჩავდიოდი — პრეზიდენტ ანუარ სადათთან საიდუმლო მოლაპარაკებებზე. ამ დროს დედაჩემი ავადმყოფობდა. მისი მდგომარეობის გასაგებად ყოველ საღამოს ვრეკავდი ისრაელში, დედა ყოველი დარეკვისას მეუბნებოდა: „ფრთხილად იყავი, შვილო, ხომ იცი, ეგრე იოლად არ უნდა ენდო, რამდენჯერ მოვუტყუებივართ“.

— ახლა თუ ენდობით? — ვეკითხები არიელ შარონს.

შარონმა შემომხედა, ფიქრმორეულმა მზერა დახარა, ერთხანს გარინდებული იჯდა. მერე ამოიოხრა.

რა ჰქნას, სწადია, ძლიერ სწადია ენდობოდეს, კეთილი მეზობლობა ჰქონდეს, მაგრამ... არაო, აქედან უნდა აგყაროთო.

კიდევ გადის დრო. იერუსალიმში, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზენტაციაზე პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი გვეწვია. ჩვენი ფილმის ხუთწუთიანი ნაკვეთი ვაჩვენეთ. „ამ ნაწყვეტმა ცრემლი მომგვარა“ თქვა.

ეს იყო 22 იანვარს, 28 იანვარს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, გაიმარჯვა „ლიკუდმა“ თებერვლის პირველ დღეებში პრემიერ-მინისტრის კანცელარიიდან დამირეკეს, შარონს „დაგვიანებული კადიშის“ ნახვა უნდაო. დისკი წავიღე, ერთ პატარა ოთახში დავსხედით: თავად შარონი, თქვენი მონა-მორჩილი და კიდევ ვიღაც კაცი.

ფილმის დამთავრების შემდეგ სახეგაბრწყინებული მომიბრუნდა, ბეჭებზე ხელი მომისვა და მადლობა მითხრა. ცოტაც ვისაუბრეთ და დავემშვიდობე. კარი გამოვაღე თუ არა, შემაჩერა:

— ერთი წუთით, მე თქვენ დაგპირდით, რომ ფილმს დაგიფინანსებდით, მაგრამ არ მაგონდება, რომ ფული მოგეცით.

— არა, არ მოგიციათ.

— რატომ? — თითქმის კოპები შეიკრა.

— როცა თქვენ ეს დამპირდით, ოპოზიციაში იყავით. მალე თქვენ მთავრობის მეთაური გახდით. თქვენ რომ ეს ფილმი დაგეფინანსებინათ, ოპოზიცია ერთ ამბავს ასტეხდა. ამიტომ ეს საქმე ბიზნესმენმა კონსტანტინე მირილაშვილმა იდო თავს. ფილმი მან დაგვიფინანსა, ცხადია, თქვენი პატივისცემით

არიელ შარონს ისევ გაუბრწყინდა სახე. იმ კაცს მიუბრუნდა:

— ხომ გეუბნებოდი, აი, ასეთები არიან ქართველები.ქართველი ებრაელები.

შინ კარგ გუნებაზე ვბრუნდებოდი.

გურამ ბათიაშვილი

მარჯვნიდან მარცხნივ:
მერაბ კოკოჩაშვილი, ლაშა ჟვანია,
არიელ შარონი და გურამ ბათიაშვილი

ისრაელის ელჩი რაჭაში

19-20 დეკემბერს ისრაელის ელჩი საქართველოში რაჭა-ლეჩხუმს სამუშაო ვიზიტით ესტუმრა. ელჩი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორს პაპუნა მარგველიძესა და ამბროლაურის და ონის წარმომადგენლებს შეხვდა.

ბატონი ფუქსი არასამთავრობო ორგანიზაცია AIC–ს გაეცნო და ხვანჭკარას ღვინის ქარხანა მოინახულა. ვიზიტის მთავარი მიზანი ეკონომიკური განვითარება იყო.

19 დეკემბერს ისრაელის ელჩმა ონის სინაგოგა მოინახულა, რომელიც ამჟამად საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის თანადგომით რემონტდება.

ელჩი ადგილობრივ ებრაულ თემს ესაუბრა.

საახალწლოდ...

ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა 30 დეკემბერს საპრეზიდენყო სასახლეში მოაწყო ისრაელის ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენელთა მიღება. ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო ისრაელის შინაგან საქმეტა მინისტრმა გიდეონ საარმა, იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილე !!! და სხვადასხვა კონფესიათა მეთაურებმა.

პრეზიდენტმა შიმონ პერესმა სტუმრებს განუცხადა, ისრაელი ვერ მოითმენს სასულიერო პირების წინააღმდეგ მიმართულ აგრესიას. იოსრაელი ყოველთვის იყო და კვლავაც ესწრაფვისსინდისისა და რწმენის თავისუფლებას. ჩვენ კვლავაც ვიძლევით იმის გარანტიას, რომ ყველას კვლავაც ექნება წმინდა ადგილებთან მისვლის საშუალება.

მინისტრმა გიდეონ საარმა დაადასტურა, რომ ისრაელის მთავრობა სასტიკად შეებრძოლება არატოლერანტობას, ძალადობას, თავდასხმებს ნებისმიერი რელიგიის მსახურებზე, ან ნებისმიერი რელიგიის მიერ წმინდად მიჩნეულ ადგილებზე.

იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილე III გამოთქვა რწმენა, რომ ისრაელის ხელისუფლება კვლავაც არ დაიშურებს ძალღონეს დაიცვას ეკლესიათა და მის მსახურთა, ასევე მომლოცველთა უშიშროება.

ბარაკ ობამას ძმა ამაყობს იმით, რომ ებრაელია

აშშ პრეზიდენტის — ბარაკ ობამას სისხლისმიერმა ძმამ დედის მხრიდან, რომლის დედა ლიტველი ებრაელი ქალი გახლდათ, ინტერვიუ მისცა ისრაელის გაზეთ „მაარივს“. ინტერვიუში მარკ ობამა ნდენსლანდიო საუბრობს უფროს ძმასთან ურთიერთობის თაობაზე. საუბრის დასაწყისშივე მარკ ობამამ აღნიშნა, რომ თავისი ეროვნებით ამაყობს. იგი აღნიშნავს, რომ თავს ებრაელად მიიჩნევს არა მხოლოდ იმიტომ რომ დედით ებრაელია, არამედ გრძნობს კავშირს ებრაულ ტრადიციებთან, ებრაულ კულტურასთან, ებრაულ ფილოსოფიასთან.

ჟურნალისტი შესავალშივე აღნიშნავს, რომ მარკისა და ბარაკ ობამას მამა — ბარაკ ჰუსეინ ობამა — უფროსი 46 წლისა ავტოკატასტროფისას გარდაიცვალა. მას ოთხი ცოლისგან დარჩა 9 შვილი. მარკ ობამამ ბაკალავრის ხარისხი მიიღო სტენდფორდის უნივერსიტეტში, ხოლო ემორიის უნივერსიტეტში — კი ეკონომიკისა და მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხი. ავტორი იქვე დასძენს, რომ მარკი სხვა და-ძმათაგან განსხვავებით აშშ პრეზიდენტს უხერხულ მდგომარეობაში არ აყენებს.

ძმასთან პირველი შეხვედრის თაობაზე მარკ ობამა ნდენსლანდი ამბობს, რომ მას ძმა მეტისმეტად შავი მოეჩვენა. თვითონ კი ძმისათვის მეტისმეტად თეთრი აღმოჩნდა. და ეს მაშინ, როდესაც ბარაკ ობამა დაიბადა და იზრდებოდა აშშ-ში, ხოლო მარკი — კენიაში და მთელი ცხოვრება თავის „თეთრ ძირებს“ დაეძებდა.

მეოთხე ადგილზე

როგორც საინფორმაციო პორტალი იუწყება, ისრაელი მშვიდობისათვის საშიში ქვეყნებს შორის მეოთხე ადგილზეა. გამოკითხვა ჩატარდა მსოფლიოს 65 ქვეყანაში: მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ყველაზე საშიშ ქვეყნად გამოკითხულთა 24 % აშშ მიაჩნია, 8% — პაკისტანი — ეს არისო მშვიდობიანობის დამანგრეველი ქვეყანა, 6% ჩინეთს მიიჩნევს მშვიდობიანობის მტრად, ხოლო ერთი ციცქნა ისრაელი ირანთან, ჩრდილოეთ კორეასა და ავღანეთთან ერთად გამოკითხულთა 5% მიაჩნია მშვიდობიანი ცხოვრების მტრად. უფრო ქვემოთა შკალაში — მეხუთე ადგილზე მოექცნენ ინდოეთი, ერაყი და იაპონია. 3% პროცენტს მიაჩნია, რომ საფრთხე მოდის სირიიდან, 2% კი რუსეთს ასახელებს საფრთხის შემცველად. 1% ფიქრობს, რომ მშვიდობიან ყოფას პალესტინის ავტონომია, დიდი ბრიტანეთი, სომალი, საუდის არაბეთი, გერმანია, ავსტრალია და სამხრეთ კორეა ემუქრება.

რეპატრიაცია გრძელდება...

ისრაელის ალიისა და რეპატრიაციის სამინისტრო და ებრაული სააგენტო („სოხნუთი“) იუწყებიან, რომ 2013 წელს ისრაელს ჩავიდა 19 200 რეპატრიანტი. აღნიშნავენ რომ წელს უფრო მეტი რეპატრიანტი ჩავიდა ისრაელში, ვიდრე 2012 წელს — 18 940 ადამიანი.

შარშან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ისრაელში ჩავიდა 7500 ადამიანი. რუსეთიდან, ბელორუსიიდან და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან — 4600, უკრაინიდან და მოლდოვადან — 2140, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან — 280, ხოლო შუა აზიიდან — 490 ადამიანი.

2013 წელს ისრაელში საფრანგეთიდან ჩასულთა რაოდენობა 63% გაიზარდა და 3120 ადამიანი გახლდათ. ებრაული სააგენტოსა და სამინისტროს თანამშრომლები ამას ხსნიან საფრანგეთის ებრაულ თემებში მუშაობის გააქტიურებით.

ეთიოპიიდან რეპატრიაცია შემცირდა 44% — ჩამოვიდაო 1360 ადამიანი. ასეთი მაჩვენებელი დაკავშირებულია იმასთან, რომ დამთავრდა პროგრამა „მტრედის ფრთები“. გასულ წელს 33%გაიზრდა დასავლეთ ევროპიდან რეპატრირებულთა რაოდენობა, საიდანაც ჩამოვიდა 4390 ადამიანი, მაგრამ თუ საფრანგეთიდან რეპატრიაცია გაიზარდა, იგი 27% შემცირდა დიდი ბრიტანეთიდან — სულ ჩამოვიდა 510 ადამიანი.

რეპატრიანტთა უმეტესობა ქალი გახლდათ — 10 ათასამდეა, ხოლო რეპატრიანტთა 60% ახალგაზრდაა — 34 წლამდე ასაკისა. ყველაზე ხნიერი რეპატრიანტი 103 წლისა, ამერიკიდან ჩამოვიდა.

ებრაული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნათან შარანსკიმ აღნიშნა, რომ რეპატრიანტთა უმეტესობა ცხოვრების მაღალი დონის დემოკრატიული ქვეყნებიდან ჩამოვიდა.

მაიკლ რეიგანი: პალესტინელებს მშვიდობა არ უნდათ

აშშ ყოფილი პრეზიდენტის — როლანდ რეიგანის ვაჟმა მაიკლ რეიგანმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა ისრაელის ტელევიზიის მეშვიდე არხს.

— მე ვფიქრობ, რომ ამერიკამ ისრაელი ირანთან დაკავშირებით ძალიან უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა — ამბობს რეიგანი — ჩვენ ფიცი დავდეთ, რომ დავიცავდით ისრაელს, მაგრამ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს სულაც არ არის ისრაელის და მისი მოსახლეობის დაცვა მასიური განადგურებისაგან.

ისრაელისა და პალესტინის ადმინისტრაციის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რეიგანმა თქვა:

— მე არ მიმაჩნია, რომ პალესტინელებს ნამდვილად სურთ მშვიდობა. არა ვგონებ, რომ მათ ოდესმე სურდათ მშვიდობა. მათ უნდათ დაეუფლონ ისრაელს.

მაიკლ რეიგანი დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ ისრაელისადმი აშშ მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს:

— თუ აშშ არ განაცხადებს, რომ იგი 100% უჭერს მხარს ისრაელს, ეს შეტაკებები, ბრძოლები არ შეწყდება. მოვიდა მშვიდობის დრო, მაგრამ იმის დროც მოვიდა, პალესტინელებმა მშვიდობა მოინდომონ.

პალესტინელები ისრაელის მოსპობას გეგმავენ

პალესტინის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა ჩინოვნიკმა აბას ზაკუიმ სირიის ტელევიზიასტან საუბარში განაცხადა, რომ ისრაელთან ნებისმიერი შეთანხმება გახლავთ პალესტინის მიერ ისრაელის სახელმწიფოს მოსპობისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი.

— ჩვენ „ხამასთან“ გავერთიანდით 1967 წლის საზღვრებში დაბრუნების საკითხში, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ეს ჩვენი ბოლო მოთხოვნაა. განზრახული გვაქვს სიონისტების მიერ ოკუპირებული მიწები, გავანთავისუფლოთ. ამას იუწყება სააგენტო INN.

მაღლობა რუსეთს—ტერორისტებმა რაკეტები მიიღეს

როგორც „უოლ სტრიტ ჟურნალი“ იუწყება, „ჰიზბალამ“ მიიღო რუსული წარმოების ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები „იახონტი“ „ჰიზბალას“ ხელში ამ რაკეტების არსებობა საფრთხეს უქმნის ისრაელის გემებს. რაკეტები ლიბანში ნაწილ-ნაწილ ჩაიტანეს.

რედაქტორის გვერდი

როგორ ვცხოვროდით ხუთიათას შვიდას სამოცდაცამეტ წელს

საახალწლო მიმოხილვა

„მენორას“ მკითხველს მოეხსენება, რომ საქართველოს ებრაელობის ცხოვრება ჩვენი გაზეთის მუდმივი ყურადღების საგანია. თუ საქართველოს ებრაელობის გაზეთმა არ ისაუბრა თემში თავჩენილ პრობლემებზე,არ მიუთითა ნაკლოვანებებზე, არ წარმოაჩინა დადებითი პროცესები, გაზეთი ცხადია,თავის მისიას ვერ შეასრულებს. ამიტომ ებრაული ახალი წლის დადგომის შემდეგ ტრადიციულად ვცდილობთ მიმოვიხილოთ გასული წლის ჩვენი ყოფა, ის, თუ რა იყო ასეთუისე მნიშვნელოვანი საქართველოს ებრაელობის ცხოვრებაში. ამ, დიდი ილიას მიერ დაწესებულ ტრადიციას, როცა „ივერიის“ ფურცლებზე აჯამებდა ხოლმე გასულ წელს, ჩვენ კვლავ და კვლავ მივდევთ.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოს ებრაელობას არ ამშვენებენ მდიდარი ადამიანები, რომლებსაც ძალუძთ თავიანთ თავზე აიღონ თემის ყველა საჭიროებაზე ზრუნვა – საქართველოში მცხოვრები ებრაელობა ძირითადად წვრილი და საშუალო ბიზნესითაა დაკავებული. ეს კი რასაკვირველია, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანებმა სრულყოფილად დაიკმაყოფილონ თავთავიანთი ტრადიციული რელიგიური მისწრაფებები. არის მცირერიცხოვანი ინტელიგენცია, რომლის ეკონომიკური დონე, რასაკვირველია, არ იძლევა სათემო საკითხების გადაჭრის გარანტიას, მაგრამ საბედნიეროდ, საქართველოს გარეთ – იქნება ეს ისრაელი, რუსეთი, აშშ, თუ სხვა ქვეყნები, არიან ქართველი ებრაელები, რომლებმაც დიდ ეკონომიკურ ძლიერებას მიაღწიეს. მათგან ერთი ნაწილის ეროვნულ-რელიგიური სულისკვეთების დასტური კი ისიც გახლავთ, რომ ფლობენ დაგროვილის სწორი გზით ხარჯვის ხელოვნებასაც – თავთავიანთ მონაგარს საქართველოს ებრაელობის სოციალურად დაუცველ ადამიანთა ყოფის გაუმჯობესებას ახმარენ. და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველი ებრაელობა გახლავთ ორგანული, განუყოფელი ნაწილი მსოფლიოს ებრაელობაში მიმდინარე პროცესებისა და ცხოვრობს იმ ტენდენციებით, რითაც მსოფლიოს ებრაელობა.

გასული ებრაული წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე საუბარი უნდა დავიწყოთ იმით, რაც წლის დასაწყისშივე მოხდა: საქართველოში ხელისუფლება რადიკალურად შეიცვალა: ქართველმა ხალხმა – მთელი საქართველოს მოსახლეობამ ნდობის მანდატი ბიძინა ივანიშნილის მიერ შექმნილ კოალიციას — „ქართულ ოცნებას“ მისცა და ბ. ივანიშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა.

ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს სახელმწიფოს სიუზერენთა ებრაელობისადმი ტრადიციულ კეთილ დამოკიდებულებას ჩინებულად განაგრძობს – ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი პირველსავე დღეებში ესტუმრა ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთს. აქ შეხვდა ჯამაათის წევრებს, გაესაუბრა იმდროინდელ გაბაის— ფ. კოჩობაშვილს. სწორედ მასთან საუბრისას გაცხადდა ის, რომ ებრაელი ერისადმი პატივიცემის ნიშნად განზრახული აქვს შეაკეთოს, საქართველოს სინაგოგები, აღადგენოს სასაფლაოები.

მალე დადგა ხანუქის დღესასწაული, საქართველოში ჩამოვიდა ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის დელეგაცია, მისი პრეზიდენტის გ. მირილაშვილის მეთაურობით, პრემიერი დელეგაციასაც შეხვდა და ბეით ქნესეთშიც მოვიდა – სახანუქე სანთელი აანთო. ორიოდე დღის შემდეგ კ. მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა ხანუქის დიდი დღესასწაული – პრემიერ-მინისტრი აქაც მობრძანდა და ჩინებული სიტყვაც წარმოსთქვა.

და არა მხოლოდ სიტყვა წარმოსთქვა, ისრაელიდან ჩამოსულ რაბინებს უმასპინძლა კიდეც.

ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ფაქტები ერთობ მრავლისმეტყველია.

ებრაული სალოცავების, სასაფლაოების აღდგენითი სამუშაო კი უკვე დაიწყო.

რეკონსტუქციის პროცესშია დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ნაგებობა – ასე, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბ.ივანიშვილს ახალ ხარისხში აჰყავს ქართველ სიუზერენთა ებრაელობისადმი დამოკიდებულება.

უკვე წელიწადზე მეტია — 5773 წ დადგომამდე — საქართველოში მუშაობას შეუდგა ახალი მთავარი რაბინი – აბიშაი ბათაშვილი, რომელიც დიდ ბეით ქნესეთში წარუდგინეს ჯამაათის წარმომადგენლებს. მისი საქართველოში ჩამოსვლა დაემთხვა ქართველ ებრაელთა დიდ ბეით ქნესეთში რემონტის დამთავრებას. ამ კეთილშობილ საქმეს მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი მეთაურობდა – ბეით ქნესეთი სწორედ მისი დაფინანსებით განახლდა. სწორედ დავით იაკობაშვილის სურვილი გახლდათ, რომ მისი მშობლიური ქალაქის ბეით ქნესეთი, განახლებული შეხვედროდა ებრაულ ახალ — 5774 წელს. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ორიოდე წლის წინათ დ. იაკობაშვილმა იდო თავს თბილისის ქართველ ებრაელთა ძველი(ორთჭალის) სასაფლაოს აღდგენა.

ბეით ქნესეთის ეზოში კი გ. მირილაშვილის ინიციატივითა და დაფინანსებით, აშენდა რესტორანი. თუმც, რესტორნის კეთილმოწყობაში ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის ფინანსური დახმარებაც გახდა საჭირო. როცა ამ რესტორნის აგების იდეა გაჩნდა, მაშინ გ. მირილაშვილი აცხადებდა:

— რესტორნისაგან არა-რა მოგება არ მაინტერესებს. მინდა, ამ რესტორნის შემოსავლით ბეით ქნესეთს შეექმნას ერთგვარი შემოსავლის წყარო, რათა მას არსებობა გაუადვილდეს.

გ. მირილაშვილის ეს განცხადება დღეს უკვე მოქმედებს და იგი ახალ სივრცეს შლის ბეით ქნესეთის წინაშე.

ბეით ქნესეთების – როგორც აშქენაზების, ასევე ქართველ ებრაელთა, ფინანსური მდგომარეობა უმჯობესია, ვიდრე ორი-სამი წლის წინათ გახლდათ: ერთის მხრივ ისრაელიდან ტურიზმის განვითარებამ და მათ მიერ გაწეულმა ცედაკამ, ამ რამდენიმე წლის წინათ მ. ჩანჩალაშვილის კარგმა წამოწყებამ (მხედველობაში გვაქვს, ღია ბარათების დაბეჭდვა, რომელსაც ტურისტები სიამოვნებით ყიდულობენ) ბეით ქნესეთის ფინანსური მდგომარეობა გააუმჯობესა, თუმცაღა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამათ ძალუძთ ყველა პრობლემის საკუთარი შემოსავლებით გადაჭრა. ხოლო აშქენაზ ებრაელთა ბეით ქნესეთი ჯამაათის მეტ ყურადღებას საჭიროებს.

არიელ ლევინის მიერ დაარსებულმა ებრაულმა სკოლამ არაერთი შესანიშნავი ახალგაზრდა აღზარდა,ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ეწევიან ღვთისმსახურებას. დღეს კი ეს სკოლა ფინანსურ შეჭირვებას განიცდის. ეს სკოლა, ისევე, როგორც „ხაბადის“ სკოლა, რომელსაც ჩინებული სასულიერო მოღვაწე მეირ ზასლავსკი მეთაურობს, არა მხოლოდ ჩვენი ჯამაათის ინტელექტუალური ზრდის გარანტია, არამედ ხვალინდელი საქართველოს ებრაელობის სახეც – საქართველოს ებრაელობის ხვალინდელი დღე ამ სკოლებშიც იჭედება. ამიტომ გვმართებს მათზე ზრუნვა. ხაბადის სკოლას ცნობილი მეცენატების მიხეილ მირილაშვილის და ლევ ლევაევის სახით ჰყავს მზრუნველი და პატრონი, აი, არიელ ლევინის სკოლა კი,უსათუოდ უნდა გახდეს ჩვენი ზრუნვის საგანი.

დღეს თბილისში ორასამდე სოციალურად დაუცველი ებრაული ოჯახია, ბევრი მათგანი კი უაღრესი გასაჭირის ზღვარზეა. მოსკოვში მცხოვრებმა ძმებმა — გია და მერაბ ელაშვილებმა მონახეს ამათი დახმარების მობილური ფორმა, ხოლო მიხეილ მიხეილისძე მირილაშვილი კვლავაც განაგრძობს ამგვარი ოჯახების დახმარებას, მან ეს კეთილშობილური მისია წლების წინ იდო თავს.

შემოდგომაზე გაიმართა ქართველ ებრაელთა ბეით-ქნესეთის გაბაის არჩევნები. ჯამაათის, საარჩევნო კომისიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ჩატარდა კარგ დონეზე. „მენორა“ უკვე იუწყებოდა, რომ გაბაიდ არჩეული იქნა მერაბ ჩანჩალაშვილი. მან ორიოდე ხმით სძლია გ. გორელაშვილს. მ. ჩანჩალაშვილი საქმიანად შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. მისი მოვალეობა სწორედ ეს არის—მან ჯამაათს უნდა შეუქმნას თავისი რელიგიური მისწრაფებების აღსრულების პირობები.

ა. ბათაშვილი ახალგაზრდა სასულიერო მოღვაწე მოვიდა ჩვენს ჯამაათში, იგი ისრაელში აღიზარდა და რასაკვირველია, დიასპორის ებრაელობის ცხოვრების წესში მისთვის ბევრი რამ უცხოა, შესაძლო, მიუღებელიც, ისევე, როგორც ჩვენთვის არის გაუგებარი სხვა თემების ცხოვრების წესის ზოგიერთი თავისებურება. მის ნაკლად თურმე იმას მიიჩნევენ, რომ კარგი ქართული არ იცის, და კიდევ იმას რომ ეწინააღმდეგება ბეით ქნესეთის ნაგებობის საქართველოს ებრაელთა კავშირის გამგებლობაში მოქცევას. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი:

ა) რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა, იგი უკეთ ფლობდეს ქართულ ენას, მაგრამ იმედი გვაქვს უახლოეს მომავალში ამ ნაკლს გამოასწორებს. სასულიერო პირის რაობის განმსაზღვრელი არის არა ის, თუ როგორ ფლობს იგი ენას (სენაკში მოღვაწეობდა ასევე ისრაელიდან მოვლინებული დიდი რაბი ბენციონ ეფრემაშვილი, რომელმაც პირველ წლებში ა. ბათაშვილის დონეზეც არ იცოდა ქართული, მაგრამ დიდებული მოძღვარი იყო, შემდეგ ქართულიც კარგად შეისწავლა და ჯამაათის სულიერი მეუფეც გახდა), არამედ რამდენად ძალუძს ჯამაათს დაეხმაროს თავისი რელიგიური მისწრაფებების დაკმაყოფილებაში, რაოდენ იცის იუდაიზმი, რაოდენ შეუძლია ჯამაათს ჩააგონოს ღვთის კანონებით ცხოვრება. იგი თბილისში ჯამაათის დასახმარებლად მოავლინეს იმათ, ვისვისაც სულერთი არ არის, თუ როგორი იქნება საქართველოს ებრაელობის მიმართება თავიანთ რელიგიასთან. ჩვენის მხრივ ა. ბათაშვილს მოვუწოდებთ უფრო ინტენსიური გახადოს ქართულის შესწავლა. ამის გარეშე მას გაუჭირდება იმ მიზნის სრულყოფილი მიღწევა, რისთვისაც თბილისში ჩამოვიდა.

ბ) საქართველოში სამი საქართველოს ებრაელ-

თა კავშირია. არცერთი მათგანი არ ცნობს მეორის არსებობას. ერთ-ერთ მათგანს კი მიაჩნია, რომ არა მხოლოდ თბილისის დიდი, არამედ საქართველოში არსებული ყოველი ბეით ქნესეთი მის ბალანსზე უნდა ირიცხებოდეს. ამასთან დაკავშირებით შარშან სწორედ საახალწლო მიმოხილვაში „მ“ ფურცლებზე გამოითქვა მოსაზრება, რომ სინაგოგები საქართველოს ებრაელთა კავშირის კი არა, რელიგიური ორგანიზაციის, უკიდურეს შემთხვევაში, სემკ-ის ბალანსზე უნდა ირიცხებოდეს. შურისგებამ არ დააყოვნა: რამდენიმე დღეში ამ კავშირის ხელმძღვანელობამ უსწრაფესად მოაწერა ხელი „მ“ რედაქტორის წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ სიბინძურეს. (იხ. ხუხაშვილის – „ობიექტივი“) ხოლო ფურიმის საღამოს, როცა ჯამაათი „ესთერის გრაგნილს“ კითხულობდა, ამ კავშირის ერთ-ერთი მესვეური ხუხაშვილის მეთაურობით სხვა ებრაელ „მოღვაწეებთან“ ერთად საქართველოს თეატრალური საზოგადოების მესვეურებს მიადგა და მოითხოვდა გურამ ბათიაშვილი, როგორც საქართველოს მოღალატე, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორობიდან მოხსენით, მით უმეტეს ისრაელის მოქალაქე გახლავთო.

ამით რა შეიცვალა? რამდენჯერაც არ უნდა გაილაშქრონ „მ“ რედაქტორის წინააღმდეგ, ამაოა — იგი მოქმედებს პრინციპით: ბეით ქნესეთები რელიგიური ორგანიზაციის გამგებლობაში უნდა იყოს. აღმოჩნდა, რომ მთავარ რაბინსაც ანალოგიური მოსაზრება აქვს და მისი ექსორიის სურვილის ერთ-ერთი მიზეზი ესეც არისო. იგი მიიჩნევს: ბეით ქნესეთი რაბანუთის გამგებლობაში უნდა იყოს. რაბანუთი რაბინთა საბჭოა, რაბინთა საბჭოს წევრები არიან და სიცოცხლის ბოლომდე რაბინები იქნებიან, ებრაელთა კავშირის მესვეურები კი ხვალ რა როლში მოევლინებიან საზოგადოებრიობას, არავინ იცის და არც უნდა ეძებდეს — ყოველი ადამიანი თავად წყვეტს თავის მომავალს. არსებობის მცირე ხნის განმავლობაში ამ კავშირმა, რამდენადაც ვიცი, სამი თავმჯდომარე გამოიცვალა, რაბინები კი, როგორც ითქვა, სიცოცხლის ბოლომდე სასულიერო პირებად დარჩებიან. შესაძლოა, ხვალ-ზეგ ა. ბათაშვილიც არ იყოს ჩვენი მთავარი რაბინი, მაგრამ ეს არაფერს ცვლის — ბეით ქნესეთი რაბანუთის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს და არა რომელიმე საერო ორგანიზაციისა.

გასულ წელს კვლავ გრძელდებოდა ჯ. ხუხაშვილის მიერ ჯერ კიდევ შაბთაი ცურის ელჩობის დროს წამოწყებული ავანტიურა—ბრძოლა მწერლისა და დრამატურგის გ. ბათიაშვილის სახელისა და ღირსების დაკნინებისათვის. ამჯერად ამ საკითხზე არ შევჩერდებით, მკითხველს კი ვაუწყებთ: გასულ წელს ხაიფის სასამართლომ, სადაც ხუხაშვილმა ბათიაშვილს უჩივლა და მწერლის დასჯა მოითხოვა, 2 ივლისს საკითხი განიხილა და არა მხოლოდ ხუხაშვილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ბათიაშვილის სასარგებლოდ გარკვეული თანხის გადახდაც დააკისრა.

ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით საქართველოს ებრაელობას მისალოცი წერილები გამოუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

როშ ჰაშანის შემობრძანების საღამოს ბეით ქნესეთში მობრძანდა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი იუვალ ფუქსი, მან შეკრებილ დიდძალ ებრაელობას ისრაელის ხელისუფლების სახელით გულითადად მიულოცა ახალი წელი.

სუქოთის შემობრძანების საღამოს აშქენაზების სინაგოგაში — „ბეით რახელ“ მოვიდა საქართველოს პარლამენტის წევრი დავით საყვარელიძე. მან ასევე გულითადად მიულოცა ებრაელობას შემოდგომის დღესასწაულები, ამავე საღამოს „ბეით რახელის“ სტუმარი გახლდათ ამ ბეით ქნესეთის რეკონსტრუქციის მოთავე, გამოჩენილი ბიზნესმენი, მეცენატი ალექსანდრე მაშკევიჩი.

სიმხა-თორის საღამოს კი დიდ ბეით ქნესეთში მოვიდნენ მოსკოვიდან ჩამოსული სტუმარი, ცნობილი ებრაელი მეცენატი თემურ ხიხინაშვილი, მსოფლიოში სახელგანთქმული ბანი, ებრაელობის დიდი მეგობარი პაატა ბურჭულაზე და კომპანია „ვისოლის“ პრეზიდენტი ს. ფხაკაძე. ისინი თებაზეც კი ავიდნენ და ჯამაათს დღესასწაული მიულოცეს. ეს ერთობ სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ იმ საღამოს ბეით ქნესეთისათვის შეუფერებელი, მიუღებელი რამ ხდებოდა და ის, რაც ხდებოდა, მეტყველებს ბეით ქნესეთის რელიგიური ლიდერის — მთავარი რაბინის სუსტ პოზიციაზე. მთავარი რაბინი მოვალეა მეტი ყურადღება და თუ გნებავთ, პედანტური დამოკიდებულებაც კი გამოავლინოს რელიგიური რიტუალების აღსრულების საკითხში.

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი თბილისში ბეით ქნესეთის ეზოში აშენებული რესტორნით გახლავთ წარმოდგენილი, რომელიც უთუოდ პოზიტიურ როლს თამაშობს ბეით ქნესეთის ცხოვრებაში, გვჯერა, ეს პოზიტივი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო კონგრესის წარმომადგენლობის მეთაური საქართველოში (დ. ბალუაშვილი) თანამოაბჯრეებთან ერთად ხან თეატრალური სამყაროს მესვეურებს მიმართავს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორობიდან გ. ბათიაშვილი მოხსენითო, ხან გ. ბათიაშვილის ღირსების დასაცავ პეტიციაზე ხელისმომწერ ჯამაათის წევრებს აუხირდება ბათიაშვილის ღირსების წარმომჩენ წერილს ხელი რატომ მოაწერეთო, ხანაც მწერალთა კავშირს მიმართავს გ. ბათიაშვილი მწერალთა კავშირიდან გარიცხეთო, კონგრესის წარმომადგენლობა ასეთ „ფასდაუდებელ სამსახურს“ უწევს საქართველოს ებრაელობას და კონგრესს.

საქართველოში კვლავ განაგრძობს თავის კეთილშობილურ საქმიანობას ჯოინტი, მართალია, დღევანდელ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა, უკეთესია, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ იყო, მაგრამ მაინც ბევრი ოჯახია ჯოინთის შემყურე. „ხესედ ელიაჰუს“ მეოხებით იგი უთუო მშველელია იმათი, ვინაც შველას საჭიროებს, ხოლო საქართველოში ებრაელთა რიცხოვნების შემცირების გამო, სოხნუთის კარს ისე ხშირად არ შეაღებენ, როგორც ამ ათი წლის წინათ. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მისი არსებობა კვლავაც დადებით როლს თამაშობს.

მოწმენი ვართ საქართველოს ებრაელობის საერთაშორისო აღიარებისა:გასულ წელს მოხდა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა: მსოფლიოს ებრაული კონგრესის ბუდაპეშტში გამართულ გენერალურ ასამბლეაზე საქართველო სხვა ოთხ ქვეყანასთან ერთად მსოფლიოს ებრაული კონგრესის წევრი გახდა—საქართველოს ებრაელობამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა მსოფლიოს ებრაულ თანავარსკვლავედში.

საქართველო, მისი ებრაელობა ექცევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრების ყურადღების ცენტრში— გასულ წელს რამდენიმე ქვეყნის მეცნიერები ჩამოვიდნენ, რათა შეისწავლონ ჩვენი ისტორია, ტრადიციები.

გვერდს ვერ ავუვლით ისრაელის პრეზიდენტის მიერ ნათქვამ ერთ ფრაზას:

ზემოთ ითქვა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ებრაელობასთან მიმართებაში ჩინებულად განაგრძობს ქართველ სიუზერენთა ტრადიციას, უფრო მეტიც: შეიძლება ითქვას, რომ ახალ ხარისხში აჰყავს იგი. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ 5773 წელს ისრაელის სახელმწიფოში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ოფიციალური ვიზიტისას ნათქვამი ერთი ფრაზა. აი, რა უთხრა ბ-ნ ბ. ივანიშვილს პრეზიდენტმა შ. პერესმა: „თქვენ ებრაელი ხალხის ნამდვილი მეგობარი ხართ.“ შიმონ პერესი კი ის პოლიტიკოსია, რომლის ყოველი სიტყვა, ყოველი შეფასება სოფლის სასწორზეა აწონილი. როცა იგი ასეთ შეფასებას აძლევდა ბ-ნ პრემიერ-მინისტრს, რასაკვირველია, მხოლოდ მისი ამჟამინდელი მოღვაწეობა არ ჰქონდა მხედველობაში.

შარშანდელ საახალწლო მიმოხილვაში აღვნიშნეთ და არც ამჯერად გვინდა ავუაროთ გვერდი ერთ ძალზე მნიშვნელოვან გარემოებას: თბილისის ბეით ქნესეთებში შეინიშნება ახალი თაობის მომძლავრება. როშ ჰაშანის, ქიფურის, სუქოთის სადღესასწაულო დღეებში ახალგაზრდა მლოცველები სწორედ რომ ეროვნულ-რელიგიური სულისკვეთებით ირჯებოდნენ და ამით ბეით ქნესეთების ფინანსურ მდგომარეობასაც აძლიერებდნენ. ვინძლო, მალე დადგეს დრო, როცა საქართველოს ებრაელობა უცხოეთში მცხოვრებ თანამოძმეთა დახმარებას არ დაისაჭიროებს.ეს ჩვენც გაგვახარებს და იმ ქართველ ებრაელებსაც,რომლებიც დღეს ისრაელში, რუსეთსა, თუ სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ და თავთავიანთ ადგილის დედას არ ივიწყებენ.

ექსპონატი გამოფენიდან „საქართველოს ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა“

ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიადელი შნეურ ზალმანის თეოსოფია

იცხაკ დავიდი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „მ“ №6, 7, 8, 9, 10, 11-12)

ჰოშეა’ გაცილებით მეტად ადანაშაულებს ისრაელს გახრწნილება-სიმრუშეში. ვინმემ იეჰუდას (4:15) იგი ხაზს უსვამს სპეციფიკური „სიმრუშის სულს“ (რუახ ზნუნიმ), რომელმაც მთელი ხალხი მოიცვა (5:4).

წინასწარმეტყველი იოელი ესქატოლოგიური კონცეფციის გამტარებელია „ახლოსაა დღე იჰვჰ-სი, საშინელი და დიდი“ — აცხადებს იგი (1:15 2:1, 11 3:4) — იჰვჰ-ს შურისმაძიებლურ იარაღსაც ახლაც ჩრდილოელი (ჰაცაფონი) წარმოადგენს, რომელიც ღმერთის ნებას ასრულებს ისრაელში (2:20).

იოელთან მეტი სიმკვეთრით იკვეთება მისტიკურ-სპირიტუალური ტექნიკა, გარკვეული იერარქიითაც კი, ასეც ამბობს მისი პირით ღმერთი:

„და იქნება შემდეგ, გადმოვანთხევ სულს ჩემისას ყველა ხორციელზე და აწინასწარმეტყველდებიან ვაჟიშვილები თქვენი და ქალიშვილები, მოხუცნი თქვენნი სიზმრებს მოისიზმრავენ, ჭაბუკები თქვენი ჩვენებებს იხილავენ, თვით მსახურნიც და მოახლენიც კი... და მივცემ სასწაულებს ცაში“ (3:1 23).

მართლაც, წინასწარმეტყველ ჰოშეასთვის ამოსავალია რწმენა, ვითარც ღვთაებასთან შეუღლება-შეკავშირების განუმეორებელი ფენომენი. სხვა ყველა მოვლენასა და კატეგორიაზე მაღლა რომ დგას. ამდენადვეა ნიშანდობლივი შნეურ ზალმანისეული განსაზღვრება ებრაული ცნება ემუნა-სი (რწმენა), ვითარც ისეთი შეჩვევა-ადაპტაციის მიმდინარეობისა, როცა ადამიანი საკუთარ თავს დააჩვევს გარკვეული ეთიკური შემოქმედების წესებს. (ლ”ა. 43).

ამრიგად, ღვთაებრივი გადმონთქევის განხორციელების რამდენიმე საფეხურთან ან ეტაპთანა გვაქვს საქმე. აღმავალი მიმართულებით: სიზმარი, ჩვენება, ხილვა, წინასწარმეტყველება, სასწაულთმოქმედება, რაც სულის სტრუქტურა-აგებულების ხუთ საფეხურებრივ გრადაციას შეესაბამება: ნეფეშ – რუახ – ნეშამა – ხაია – იეხიდა, როგორც იყო ზემოთ ლაპარაკი.

იოელიც ურისხდება და უწყრება ფინიკელებსა და ფელიშთიმ-თ, რომლებმაც ბერძნებს მიჰყიდეს იერუშალიმელნი და იეჰუდას ძენი, რათა ისინი თავიანთი საზღვრებიდან დაეშორებინათ. (4:6).

ჩვენებებსა და ღმერთის მოკითხვაზე ლაპარაკობს ამოსიც (1:1 5:6) მიხა კი პირდაპირ აცხადებს, რომ იგი აღივსო „ძალითა იჰვჰ-ს სულითა“ (3:8) ხაბაკუკისათვის ამოსავალია რწმენა „ემუნა“ (2:4).

მალახი დეტერმინისტულად აცხადებს „განა ადამიანი ადგენს და სწყვეტს ღმერთის არსებობას?!“ (3:8).

დავიდისეული ფსალმუნნი ერთი დიდი დიალოგია ღმერთთან და დამყარებულია რწმენის აქსიომაზე (37:3 46:11 55:23 96:13 102:12) მეფე დავიდი, ფაქტიურად ებრაული მესიანისტური სახელმწიფოებრიობის დამაარსებელი, საუბრობს ღმერთის (იჰვჰ) წმინდა სულზე, რომელიც ადამიანში სუფევს (იხ. 51:13 83:3 92:6 118:22).

დავიდი კარგად იცნობს ხმეთაშუაზღვისა და მცირე აზიურ ტოპონიმიასაც ფელეშთ (პალესტინა) ზღვების კუნძულებიდან რომ შემოდიან ერეც-ისრაელში, თარშიშ-თართოსი და რაც მთავარია მეშეხ-მოსოხმესხ-(ეთ). „ოი, მე რომ მეშეხ-ში ვცხოვრობდიო...“ — აცხადებს იგი (120:5).

შელომოთი (ქართ. სოლომონ) იწყება ებრაული სიბრძნეთმეტყველება ანუ ბერძნ. ტერმინი რომ გვეხმარა — ფილოსოფია, რაც საფუძვლად დაედო შემდგომში საკუთრივ ხ.ბ.დ.-ის სისტემის ჩამოყალიბებასაც, (იგავნი 1:2).

შელომოსათვის ამოსავალია ცნება (ირათ იჰვჰ)-სი — ღვთისმოშიშობა, რაც მისთვის ყოველივე არსებულის საფუძველს წარმოადგენს (იხ. იქვე, 1:6 1:29 2:5, 6 3:5 8:12 9:10 14:26 15:16, 33 15:6 19:23 22:4 23:17 24:21 31:30).

შელომოს მრწამსით (ცედაკა თაცილ მიმავეთ) — ქველმოქმედება სიკვდილს გადაარჩენს (11:4 16:12 21:21) და შემდეგ „სანთელი იჰვჰ-სი სულია ადამიანისა (20:27 შდრ. იობი, 4:9 19:26 28:12).

ღრმა მსოფლმხედველობითი ყოვლისმომცველობით ხასიათდება შელომოსეული „კოჰელეთ“ (ქართ. ეკკლესიასტე), რომლის ძირითადი მოტოც მისტიკურ-ნაჰილისტურია — „ამაოება ამაოებათა... ყოველი“ — აცხადებს მეფე გაერთიანებული ისრაელური სახელმწიფოსი ძვ. წ-ით 965-928 წ.წ.-ში (იხ. 1:2, 14), უფრო მეტიც მას მიაჩნია, რომ ნამატი სიბრძნისა სიბრაზეს იწვევს, ჭკუისა კი ტკივილს. (იქვე 1:18).

შელომოს ფატალიზმი შემდეგ მრავლისმთქმელ ფრაზაშია მოქცეული „რაც კი იყო, ისაა უკვე და რაც იქნება, იყო უკვე (3:15) გარდა ამისა, ადამიანი ვერ შესძლებს სულზე გამგებლობას, მის დატყვევებას (8:8), იგი ფატალიზმის ფილოსოფიას ქადაგებს (9:11) დრო და განგება განაგებენ ყველაფერს.

ასეთი ფატალისტური განწყობის შემდეგაც პოულობს სიბრძნისმეტყველი ხელმწიფე გამოსავალს, საშველი?! „გაატანე წყალს პური შენი, მრავალთა დღეთა შემდეგ კვლავ მოიძიებ“.

როგორც ცნობილია, რიგი შელომოსეული ნაწარმოებნი არაკანონიკურნი არიან ასე მაგ. „სიბრძნე“-ში უშუალოდაა საუბრები „ქვეყნიერების სულით აღვსებაზე“ (1:7) მე-15 თავში ღმერთის შეცნობა სრულ ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული.

ზირაქი თავის „სიბრძნე“-ში აღიარებს, რომ „უწინარეს სიბრძნე წარმოიშვა“ (1:4) ამასთან „ზოგის მდუმარებაში სიბრძნე ჩანს“ (20:5).

ბარუქ წინასწარმეტყველი იცნობს სულის შევიწროებასა და შეწუხებას (3:1).

დანიელს ესმის ყველა სიზმრისა და ჩვენებებისა, მასში სუფევს სული ღვთაებისა. (1:17 5:14).

ნაწარმოების „მეორე ნეშტთა“ (ვიდრე ჰაიამიმ) მიხედვით ღმერთი ეცხადება შელომოს 1:7 15:1), წინასწარმეტყველების აქტი გარჩეულია საკუთრივ ჩვენებისაგან (ნევუა-ხაზოთ) (9:29).

კაბალისტის წარმოდგენაში, მისი თმა ცოცხლიერია თავის გამანადგურებელი ძალით. მისი ლოყები ელვარებენ... რ. იოსეფის მიხედვით მთელი კოსმოსი ერთი დიდი სექსუალური აქტის გამოხატულებას წარმოადგენს, ანატომიურად ადამიანის ასო-ნაწილები კოსმიური ხის პარალელებს ქმნიან.

საკუთრივ, თორისეული ასოებიც კი, ძლიერი წარმოსახვის ნაკადში გამოხატავენ ღმერთისა და შეხინის კავშირს. რ. იოსეფის ხსენებული უნიკალური სისტემის მიხედვით, ებრაული ასო იოდი, წინდაცვეთის ნიშანს რომ ჩამოგავს, იქცა ხელმწიფის ფალოსად ანუ ასო ზაინ-ად, რომელიც უნდა მიიღოს მდედრობითი სქესის ასოს მსგავსმა ხეთ-მა.

თავის მისტიკურ-სქესობრივ წარმოსახვებში რ. იოსეფი შორსაც მიდიოდა, იგი ნიშანდობლივ მოძღვრავდა თავის მოწაფეებს, რომ „წარმოესახათ მიტრონა (ღ-ის მდედრობითი ასპექტი), რომელსაც ფეხები ჰქონდა გაშლილი, რათა მიეღო მამრობითი ასო ზაინ-ი“.

კაბალისტის ამოცანაა საკუთარი სხეულებრივი შემცველობა დასცალ-დაცარიელოს თავისი „მე“-სგან, ასეთ შემთხვევაში იგი შეძლებს ერთი სუნთქვით ახალ სამყაროთა შექმნას. ხოლო ერთი ამოსუნთქვით მათ დანგრევას. ასეთი წარმოსახვები გამოხატავდნენ გონებრივ ექსკურსიებს ციურ ვრცეულებებში, ისევე როგორც იეხიზკეელი აღწერს „მერქავა“-ს და რიგი სხვა წიგნებისა, მედიტაციებს რომ ეხებიან და ძველებრაულსა და სპარსულ-ინდურ გნოსტიკურ მიმდინარეობებს ეყრდნობიან.

თუ ადრე ღვთაებრივ შენაქმენზე იყო გადატანილი გულისხმიერება, ახლა უკვე უფორმოსა და უნივთო სამყაროს განჭვრეტდნენ აბსოლუტისა.

კოსმო-მისტიური მენტალური მოგზაურობის განმავლობაში მჭვრეტელი ხშირად ხდებოდა მსხვერპლი ილუზორული წარმოსახვებისა, მაგ. მეექვსე ჰეხალ-ში კარი წარმოისახებოდა ვითარც მილიარდობით წყლის ტალღით მოელვარე მარმარილო, თუმც მასზე ერთი წვეთიც კი არ იყო.

მხოლოდ ადამიანის თვით-გარდასახვის გზით ხდებოდა შესაძლებელი, ღვთაებრივის განჭვრეტა. (შდრ. რ. ხანანელ ბ. ხუშიელის (11ს.) შენიშვნები, ასევე რ. ნათან ბ. იეხიელის, რ. ჰაი გაონის, რ. შემუელ გაონისა და რ. ელეზარ ბ. დურდიას (ცნობილი ცოდვილი) დაკვირვებები).

ხსენებული გამოცხადება-აპოკალიფსის (გილუი, ჰითგალუთ) თვალსაზრისს ვხვდებით ასევე, მთელ რიგ რელიგიურ-მონოთეისტურ მოძღვრებებშიც, ნამდვილი ჭეშმარიტება მიიწვდომება ფიქრთ-ჩაღრმავების (ქავანა) პროცესში, სწორედ აბსოლიტურ ყოფიერებაში (ებრ. იეშ მეაინ. ბერძნ. ტო ონტოს ონ) ინდურ. სატიასია სატიამ) და ა.შ.

ამასთან, ძველებრაული ცნება ღვთაებრ. გამოცხადებისა (გილუი) ყველაზე სრულყოფილია და აბსოლიტურიც, რამეთუ ისაა მარადმყოვრული ქმნადობა თავისთავადი იჰვჰ-სი.

აკი არისტოტელემ დაიწყო, ხოლო პანეცუის როდოსელმა (ძვ. წ. 185-110) განავრცო სწავლება თეორიულისა და პრაქტიკულ ქველმოქმედებაზე, რომლის საყოველთაო და

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი
აბიშაი ბათაშვილი

ითრო

ამ კვირის ფარაშას მოშე რაბენუს სიმამრის სახელი - „ითრო“ ეწოდება იმის გამო, რომ წერია „და დაამატებს ერთ ფარაშას თორაში“. ითრომ ერთი ფარაშა დაუმატა თორას მას შემდეგ, რაც ნახა თუ როგორ იდგა მოშე ისრაელის შვილების პირისპირ დილიდან საღამომდის, ასწავლიდა თორას და განსჯიდა მათ. მან უთხრა მოშეს: „რატომ ზიხარ მარტო და მთელი ხალხი თავზე წამოგდგომია დილიდან საღამომდის“. ითრომ მოშეს ურჩია დაენიშნა ათასისთავები, ასისთავები და ა. შ., რათა მას ხალხის საქმეების მართვაში დახმარებოდნენ.

აქ მარტივი კითხვა ისმის: როგორ შეიძლება, რომ მოშე რაბენუმ, ისრაელის ხალხის ერთგულმა მწყემსმა, თვითონ ვერ გააცნობიერა, რომ მარტო, ყოველგვარი დახმარების გარეშე ხალხის საქმეების მართვის ძალა არ შესწევდა და ითროსგან ასეთი უბრალო რჩევის მიღება დასჭირდა?

მსგავსი რამ აღმოვაჩინეთ თვით სინაის მთაზე თორის მიღების ამბავშიც. მოშე რაბენუს სურდა, რომ ისრაელის ხალხს თორა პირდაპირ ღმ-თისგან მიეღო, მაგრამ ისრაელის შვილებმა უთხრეს მოშეს: „თუ კიდევ მოვისმენთ ჩვენი უფალი ღმ-თის ხმას და დავიხოცებით“. მათ სთხოვეს მოშეს თვითონ მოესმინა ღმ-თის პირით ნათქვამი და შემდეგ გადაეცა ხალხისთვის.

მოშე რაბენუ ფრიად დაამწუხრა ამის მოსმენამ, მაგრამ კურთხეულმა უფალმა უთხრა მას: „მოვისმინე ამ ხალხის ლაპარაკის ხმა, შენ რომ გელაპარაკებოდნენ, კარგია ყოველივე, რაც ილაპარაკეს“. აქ ისევ ისმის კითხვა: განა მოშე რაბენუს თვითონ არ შეეძლო გაეცნობიერებინა, რომ ისრაელის შვილებს ჯერ კიდევ არ შესწევდათ იმის უნარი, რომ პირდაპირ ღმ-თის პირით წარმოთქმული უფლის სიტყვები მასსავით მიეღოთ?

ეჭვს გარეშეა, რომ მოშეს, ერთგულ მწყემსს შეეძლო ხალხის უნარის სწორად შეფასება. მან იცოდა, რომ ხალხს, თავის მხრივ, პირდაპირ ღმ-თისგან თორის მიღების უნარი არ შესწევდა, მაგრამ მას სურდა ხალხი იმდენად მაღალ დონემდე აღემაღლებინა, როცა უკვე შესძლებდნენ ღმ-თის სიტყვის მიღებას. როდესაც მოშე რაბენუ ისრაელის შვილებს აღამაღლებს, ის მათ ღმ-თის პირით ნათქვამი სიტყვების მოსმენის ძალას აძლევს.

ამის საპირისპიროდ, ისრაელის შვილები აცხადებდნენ, რომ იმ დროს, როდესაც მოშე რაბენუ მათ უფრო მაღალ დონემდე ამაღლებს, ეს მათი გონებითა და მათი გრძნობებით თორის მიღების რეალურ მდგომარეობას არ წარმოადგენს. მათ სურთ თორის მიღება თავიანთ რეალურ მდგომარეობაში, როდესაც ძალა არ შესწევთ უფლის პირით ღმ-თის ხმის მოსმენა. მაგრამ ამ შემთხვევაში თორა მათი გონებითა და მათი შესაძლებლობების მიხედვით მიიღება და მათში შინაგანად და ჭეშმარიტად აღიქმება.

ასევეა განსჯის საკითხშიც: როდესაც ისრაელის შვილები მოშე რაბენუს პირისპირ დგანან, ისინი საკუთარი დონიდან მაღლდებიან და არ შეუძლიათ თავიანთ საქმეებში და თავიანთ „სადავო საკითხებში“ იყვნენ ჩაფლულნი. ასე სურდა მოშეს ხალხის წარძღომოდა - რომ თავიანთ უმაღლეს დონეზე ყოფილიყვნენ და ყოველდღიური დავის საკითხებში არ ყოფილიყვნენ ჩაფლულნი.

ითრომ დაინახა, რომ ეს მდგომარეობა ხალხის ბუნებრივი მდგომარეობა არ იყო და კურთხეულმა უფალმა მისი არგუმენტი მიიღო, რადგან იცოდა, რომ მოშე რაბენუს არ ეღირსებოდა ისრაელის ქვეყანაში შესვლა, ისრაელის ხალხი კი ისრაელის ქვეყანაში მის გარეშე შევიდოდა, სადაც ის ყოველდღიური საქმეებით იქნებოდა დაკავებული. ამიტომ კურთხეულმა უფალმა ათასისთავების, ასისთავებისა და ა. შ. დანიშვნა დაადასტურა, რათა თორას ისეთი ცხოვრების რეალობაში შეეღწია, როგორიც ის არის. ამით კი სიწმინდის შუქი საქმიან ცხოვრებაში შეაღწევდა და მთელს ქვეყანას ჭეშმარიტი და სრული გეულისთვის მოამზადებდა.

საბოლოო მიზანს ბედნიერების მოტანა შეადგენს.

ფილონ ალექსანდრიელიც (ძვ. 20 — ახ. 50 წწ) ხომ ლაპარაკობს სულის რვა ატრიბუტ – ნიშან-თვისებაზე, ემანაციაზე, იმ უზენაეს ენციკლოპედიურ ცოდნაზე, რომელიცაა საჭირო ჭეშმარიტების მისაღწევად, რეველაციური გამოცხადებით ჭეშმარიტებას კი წმ. ნაწერი (ბიბლია) შეადგენს, რომელიც აქსიომატურად უნდა იქნეს მიღებული, მისი შეწვდომის საშუალებას მუდმივ-სრულყოფადი ფილოსოფიური მეთოდი წარმოადგენს.

ღმერთის შეუწვდომლობის არ-განსაზღვრულობის იდეალიც ნათლადაა გამოკვეთილი აქ ანუ დეფინიცია იმისა, რაც არაა ღმერთი ვრცეულ-დროით განფენილებაში, საკუთრივ რეფლექსია – ღვთაებრივის არეკვლის პროცესია.

ე.წ. უარყოფითი ანუ აპოფათიკური თეოლოგია ხომ ჯერ ფილონთან დაიწყო, გაჰყვა ნეოპლატონისტებს, ორიგენს, გრიგოლ ნისელსა და თავის აპოგეას არეოპაგიტებთან მიაღწია.

საკუთრივ ღვთაებრივის გაადამიანების იდეა (ჰიშთალშელუთ) პატრისტიკაში, ღმერთის დაღმასვლის ანუ კენოსისის სახით ჩამოყალიბდა.

ფილონისეული აზრი ექსტაზირებული აღმაფრენის შესახებ, წმ. სულის შესამეცნებლად გატარებულია რ. ფინხას, ბ. იარის მიერ მიშნა-სოტაში, სადაც დადგენილია გზა, ასეთი მიზნის მიღწევისათვის, ზნეობრივი სისუფთავის, სიწმინდის, მორჩილების, მოშიშებისა და კეთილშობილების საშუალებით.

ამასთან, ზემოხსენებული ყველასთან ერთნაირი ძალით როდი ვლინდება, ებრაელსა თუ არაებრაელს, ქალსა თუ კაცს... ყველას თავისი საზღაურის მიხედვით მიეცემა.

ებრაულმა მისტიკამ პალესტინაში აიდგა ფეხი. მის სათავეებთან ჩვენ ვამჩნევთ იოხანან ბ. ზაქაის, ელიეზერ ბ. ჰირკანოსს, აკივა ბ. იოსეფს და რაბი იშმაელს, რომლებიც წოდებულ იქნენ (იორდე მერქაბა-დ) ანუ ღვთაებრივ ეტლში ჩამსვენებლად. მათი ღვთაება იმ წმიდა ხელმწიფედ იყო ცნობილი, რომელიც უცნობი სამყაროებიდან ჩამოეშვა „955 ცის“ გამოვლით და ტახტზე მოივანა. (შდრ. მეტატრონი, ჰეხალოთი).

კაბალისეული სიკეთე-ბოროტების დაპირისპირება, რაც ესოდენ ნათლადაა წარმოჩენილი ლიადელი ზალმანის მილიადის ფილოსოფიაშიც, თავის კავკასიურ წიაღსვლასაც პოულობს ძვ. აზერბაიჯანში განვითარებული მაზდეიზმის, ზოროასტრიზმისა და მაგიზმის სახით, რაც შემდგომში გნოსტიციზმის და ქრისტიანობის გავლენით მანიქეიზმშიც (მესამე ს ახ. წ.) გამოვლინდა.

პლოტინის (203-269) „ენეადებშიც“ ხომ აისახა ხსენებული ტრიადის ონტოლოგიურ-სუბსტანციური ანუ იპოსტასური ხასიათი, როცა პირველი მათგანი, - ერთიანი, წარმოადგენს ტრანსცენდენტალურ უზენაესობას, ანუ ბიბლიურ ბერეშითს (თავდაპირველობას), აქედანვეა პლოტინისეული მისტიური შეხედულება სულის აღსვლის შესახებ. გრძნობითი მდგომარეობიდან ზე-გონებრივი ექსტაზისაკენ.

პლოტინითაც უზენაესი „ერთი“ არის წყალობა (ხესედ), უსასრულო სინათლე და გამონათიერება (ჰააცალა), დაღმა-სვლა (ჰამშახა), განჭვრეტა (ჰითბონენუთ), კატეგორიები (ბეხინოთ) და ა.შ.

უნიო-მისტიკა ანუ მისტიკური ერთიანობა ღვთაებასთან საერთოდ ყველა სახის რელიგიისთვისაა დამახასიათებელი, ფაქტიურად, თითოეული სარწმუნოების საბოლოო მიზანს სწორედ ასეთი მისტიკური კავშირის მიღწევა-განხორციელება წარმოადგენს. ეს გარკვეულ მიმართებაშიცაა რელიგიურ-ინდივიდუალურ ცნობიერებასთან, მისტიკური მიისწრაფის საერთო საყოველთაო კოსმიური ერთიანობისკენ და მისთვის გამოცხადება-აპოკალიპსისი არ შეადგენს ერთჯერად ისტორიულ მოვლენას, არამედ იგი საფუძვლად ედება მრავალჯერ განმეორებად აქტს.

ებრაულმა მისტიციზმმა, სულ სხვა საფეხურზე აიყვანა ღვთაებრივის შემეცნების განცდა, ამასთან კონკრეტული გზა-მიმართულება დასახა მის მისაღწევად.

დეუს აბსკონდიტუს „მიფარული, თავის თავში არსებული ღმერთი“ კაბალამ შესამეცნებელ-მისაწვდომ რაობად აქცია. სავსებით მართალი იყო კაბალისა და ებრაული მისტიციზმის შესანიშნავი მკვლევარი გერშომ შოლემი, როცა მკვეთრად სვამდა საკითხს ენობრივ-გამომსახველობით ასპექტსა და მისტიკურ შემეცნებას შორის. „განა კი ვითარ შეიძლება. – წერდა იგი. – მისტიკური განცდა ენობრივ პლანში გამოიხატოს, როცა იგი ისეთ ვრცეულებაშია, რომელიც უარყოფს ენასაც და გამოთქმასაც? ანუ როგორ შეიძლება შინაგანი პროცესი, ადამიანურის ღვთაებრივთან შერწყმის სტადია, სათანადო სიტყვებით იქნეს აღწერილი?“ (იხ. Greshon Sholem, Major Trends in Jewish Mysticism, 1957).

საქმე გვაქვს ღვთაებრივი სამყაროს წარმოდგენა-ობიექტივაციის ცდასთან, სწორედ ებრაული ენის მეშვეობით, რადგანაც ენა აღწევს ღვთაებას, რომლისგანაცვე მომდინარეობს იგი. დღემდე გამოქვეყნებულ ოთხ ათასამდე და გამოუქვეყნებელ ათასობით მისტიკურ-კაბალისტურ ხელნაწერში, ცხადადაა მინიშნებული, რომ ჩვენი საბოლოო მიზანია იმ გზას დავუბრუნდეთ და განვლოთ ხელახლა საწინააღმდეგო მიმართულებით, რომლითაც ჩვენ ღვთაებას დავშორდით, მოვწყდით, ე.ი. საუბარია უკუქცევით პროცესზე (შდრ. დიასტოლა-სისტოლის ცნებები).

კაბალისტი ვერ იხელმძღვანელებს მხოლოდ შესასწავლი, დასაზუთხი მითითებებითა და დარიგებებით. მას კერძო-პირადული დატვირთვის უდიდესი ძალაც სჭირდება, რაც შესაძლოა ღრმა საიდუმლოებებითაც იყოს შებოჭილი. ამდენად, პიროვნების განწყობაც მისტიკურ-საიდუმლო პერიპეტიების პარადოქსში იკვეთება.

(გაგრძელება იქნება)

ედგარ ბრონფმანის ხსოვნას

84 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ებრაელი ფილანტროპი და საზოგადო მოღვაწე ედგარ ბრონფმანი.

ედგარ ბრონფმანი თითქმის 30 წლის განმავლობაში გახლდათ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის ხანა დაემთხვა საბჭოთა კავშირის ნგრევას, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გააქტიურდა ებრაული მოძრაობა.იგი ყოველი ჩვენგანის დიდი მეგობარი გახლდათ, ყოველთვის აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, განსაკუთრებით აინტერესებდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების მიმართება ებრაელობასთან. აინტერესებდა ამათუიმ რესპუბლიკაში იყო თუ არა ანტისემიტიზმი და რა დონისა გახ;დათ იგი. მან დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის ებრაელობის საერთაშორისო ებრაულ ოჯახში დაბრუნების საკითხში, მახსოვს, რაოდენი დისკუსია იმართებოდა ვაშინგტონსა, თუ იერუსალიმში, როცა ჩვენი დელეგაცია მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის წევრობას მოითხოვდა, რაოდენ რთული ბარიერები იყო გადასალახავი და ედგარ ბრონფმანი როგორ ამხნევებდა ჩვენს დელეგაციას.

მაღალი, ცისფერთვალება, დახვეწილი მანერების ედგარ ბრონფმანი ნებისმიერი ადამიანის ყურადღებას იპყრობდა. მოვლენათა, პრობლემების მისეული გონივრული განსჯა, ყოველთვის საინტერესო მოსაუბრედ აქცევდა, ამიტომაც იყო,რომ მისთვის ღია იყო მრავალი სახელმწიფოს სიუზერენთა კარი. ამ პიროვნებებთან ბრონფმანის მოლაპარაკებების თემა კი ყოველთვის იყო ებრაელთა მდგომარეობა. იგი იბრძოდა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა უკვდავყოფისათვის, ებრძოდა, უპირისპირდებოდა იმ სახელმწიფოთა ლიდერებს, რომლებიც ისრაელის დელეგიმიტაციას ესწრაფვოდნენ. ცდილობდა სათავე დაედო, და ეს მოახერხა კიდეც, სხვადასხვა, რელიგიის წარმომადგენლები ერთი მაგიდის ირგვლივ დაესვა — მიიჩნევდა, რომ დიალოგი, აზრთა გაზიარება საუკეთესო — ერთადერთი გზაა პრობლემების გადაჭრისა.

ედგარ ბრონფმანი თავისი ბიზნესის საკითხებთან დაკავშირებით თბილისშიც იმყოფებოდა და კმაყოფილებას გამოხატავდა ამ ქალაქის მშვენიერებით.

გურამ ბათიაშვილი

ისრაელის მოსახლეობამ რვა მილიონს გადააჭარბა

2013 წლის დასასრულს ისრაელის მოსახლეობა რვა მილიონ132 ათასი ადამიანი გახლდათ. როგორც ისრაელის მე-9 არხი იუწყება, ამას ადასტურებს 29 დეკემბერს ისრაელის სტატისტიკური ბიუროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები.

ისრაელის მოსახლეობის 75,2% ებრაელია და შეადგენს 6მილიონ 102 ათას ადამიანს, გასული წლის ბოლოს ისრაელის მოქალაქე არაბთა რაოდენობა გახლდათ 1 მილიონ 682 ათასი ადამიანი.

ცენტრალური სტსტისტიკური ბიურო იმასაც იუწყება, რომ გასულ წელს ისრაელში დაიბადა175 ათასი ბავშვი, ხოლო ისრაელში ჩამოვიდა 16 ათას ექვსასი რეპატრიანტი.

2013 წელს ისრაელის მოსახლეობა 1.8%-ით გაიზარდა.



ექსპონატი გამოფენიდან „საქართველოს ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა“

ისრაელის ამბები

სკანდალი

ბარაკ ობამას ადმინისტრაცია აქტიურად ჩაება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში. მას სურს, რაც შეიძლება მალე მიაღწიოს ისრაელ – პალესტინის შეთანხმებას. ისრაელის საზოგადოებრიობა ამ ფაქტს ერთმნიშვნელოვან დადებით მოვლენად არ აღიქვამს არის საუბარი ობამას ადმინისტრაციის ისრაელზე ზეწოლის თაობაზე. აშშ ცდილობს ისრაელი ისეთ დათმობაზე წავიდეს, რომელმაც ისრაელელთა აზრით, შესაძლოა,ზიანი მოუტანოს ისრაელის უსაფრთხოებას.

ამას ადასტურებს სკანდალი, რომელიც ამ დღეებში აშშ-სა და ისრაელს შორის აგორდა.

— აბუ მაზენი მხოლოდ ჩვენი ძალისხმევით, ჩვენი იარაღით დგას ფეხზე,თუ ჩვენ იუდეიდან და სამარიიდან წავალთ, აბუ მაზენის დღეები ამოიწურება, იუდეასა და სამარიაში „ხამასი“ გაბატონდება. ახლა მოლაპარაკება სინამდვილეში ჩვენსა და ამერიკელებს შორის მიმდინარეობს.ერთადერთი, რაც ჩვენ გადაგვარჩენს, ეს არის ის,რომ ჯონ კერიმ მიიღოს ნობელის პრემია და ჩვენ თავი დაგვანებოს — ეს სიტყვები პირად საუბარში თქვა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მოშე აიალონმა, მაგრამ როგორც თავად ამბობს, იქ სხვებიც იდგნენ და ნათქვამი მოისმინეს.

მოშე აიალონის გამონათქვამი გაზეთმა „ედიოთ ახრონოთმა“ გამოაქვეყნა. თავდაცვის მინისტრის სიტყვებმა სახელმწიფო დეპარტამენტი გაანაწყენა.სახდეპის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ „მოშე აიალონის სიტყვები შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავია, მითუმეტეს, მაშინ როცა აშშ ძალღონეს არ იშურებს ისრაელის უშიშროების დასაცავად“

ამ გახმაურებული გამოთქმის გამოძახილად მიიჩნევა ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს სიტყვა, რომელიც 14 იანვარს ქნესეთის დაარსების 65-ე წლისთავზე წარმოსთქვა და რომელშიც შეეხო აშშ-სა და ებრაული სახელმწიფოს ურთიერთობას.

— თუ დროდადრო ჩვენს შორის კამათი წამოიჭრება, ეს არასოდეს არ არის პირადი ხასიათისა, იგი ყოველთვის არის საქმიანი. ჩვენი ამოცანაა მივაღწიოთ მშვიდობასა და უშიშროებას. ჩვენ არ გვსურს აქ ვიხილოთ ორეროვნული ასხელმწიფო,ჩვენ ველტვით ნამდვილ, ისრაელის სახელმწიფოს აღიარებაზე დაფუძნებულ მშვიდობას.

ქნესეთის საზეიმო სხდომაზე ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესიც გამოვიდა. მან თქვა:

— პალესტინაში ორეროვნული სახელმწიფო ემუქრება ჩვენი, როგორც ებრაული და დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას.

თავდაცვის მინისტრმა მოშე აიალონმა განაცხადა რომ სულაც არ ფიქრობდა კერის შეურაცხყოფაზე და თუ მისი სიტყვები ასე იქნა გაგებული, ბოდიშს იხდის.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003